საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტები და მათი ჯანმრთელობის რისკი

რამაზ გახოკიძე

ელ.ფოსტა: ramaz.gakhokidze@tsu.ge

ყოველდღიურად თანამედროვე ადამიანი იყენებს სხვადასხვაგვარ ქიმიურ ნივთიერებებს, რომლებიც იჭრება ორგანიზმში და იწვევს ძლიერ უარყოფით გავლენას: ალერგიულ რეაქციებს, იმუნიტეტის დარღვევას, ტვინის დაზიანებას, დიდ პრობლემას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას და გარემოს.

პლანეტაზე არ დარჩა ადამიანი, რომლის ორგანიზმი არ შეიცავდეს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ქიმიის შხამებს. როგორც თვლიან, კიბო, ძირითადად, ანტროპოგენური წარმოშობისაა და მისი ფართოდ გავრცელება თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ნაყოფია. განსაკუთრებით საფრთხე ექმნებათ ბავშვებს, რადგან ისინი სხეულის ერთეულზე უფრო მეტ საკვებსა და წყალს მოიხმარენ. ჩვენ ყველამ ერთად უნდა დავიცვათ ბავშვები საშიში ქიმიური ნივთიერებებისგან! გარემოს დაცვის პრობლემები კომპლექსური და ინტერ-დისცილინურია, ამიტომ მათი გადაჭრა მეცნიერების სხვადასხვა დარგის ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი.

საკვანძო სიტყვები: *გარემო, ეკოლოგია, საყოფაცხოვრებო ქიმია.*